შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 249/21

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„18“ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 2021წ

სამშენებლო შეფასება (დასკვნა)

ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის №9, ნაკვ. 01/301, შ.პ.ს. „კატასტროფის მედიცინის ცენტრი“-ს (ID: 404854332) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.17.13.001.392, მდებარე საავადმყოფოს შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირების): ორ არსებულ შენობას შორის გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის №9, ნაკვ. 01/301, შ.პ.ს. „კატასტროფის მედიცინის ცენტრი“-ს (ID: 404854332) თანსაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.17.13.001.392, მდებარე სააავადმყოფოს შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირების): ორ არსებულ შენობას შორის გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „lira-sapr“-ის საშუალებით, ელექტრონული ვერსიის სახით.
5. არსებული შენობების, (რომელთა შორისაც ეწყობა ხიდი) არსებული საძირკვლების ნახაზები.

დამკვეთი: შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ (ID: 211385767)

პრ. მთ. არქიტექტორი: ლაშა ნარიმანიძე
პრ. მთ. კონსტრუქტორი: თეიმურაზ ლაზარიაშვილი
ექსპერტი-კონსტრუქტორი: ვახტანგ ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:

- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g)
- ქარის ნორმატიული დაწნევა 85კგძ/მ²;
- თოვლის საფარის დატვირთვა 50 კგძ/მ²;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, კენჭების ჩანართებით 10%-მდე, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: Ro=2,10კგძ/სმ². დეფორმაციის მოდულით: E=170,0კგძ/სმ²

საპროექტო ნაგებობა განთავსებულია ორ არსებულ კორპუსს შორის, რომელთაგან ერთი 11-სართულიანია, ხოლო მეორე 5-სართულიანი და წარმოადგენს შემაკავშირებელ დერეფანს არსებულ კორპუსებს შორის (შენობების III სართულის დონეზე).

11-სართულიანი კორპუსი მდებარეობს: ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდალი №9, (ნაკვ. 01/066), შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ონკოროყვას მადალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“-ს (ID: 211385767), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით № 01.17.13.001.066.

5-სართულიანი კორპუსი მდებარეობს: : ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის №9, ნაკვ. 01/301, შ.პ.ს. „კატასტროფის მედიცინის ცენტრი“-ს (ID: 404854332) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით № 01.17.13.001.392.

საპროექტო გადაწყვეტის მიხედვით, გადასასვლელი ხიდი მიწის არსებული ზედაპირიდან 6,35 მეტრის სიმაღლეზეა განთავსებული.

საპროექტო გადასასვლელი ხიდი განთავსებულია: „ე-1“–„ა-1“ და „8/1“–„8/2“ ღერძებს შორის. ხიდიხ გაბარიტული ზომები ღერძებს შორის შეადგენს: 36,00X2,20მ.

გადასასვლელის სასარგებლო სიმაღლე 2,10მ-ია, ხოლო მთლიანი სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 9,56 მ-ია.

გადასასვლელის ჩონჩხედი (კარკასი) კონსტრუქციული თვალსაზრისით დამოუკიდებელია (მოჭრილია) არსებული ნაგებობებიდან სადეფორმაციო (ჯდენითი) და სეისმური ნაკერებით და მიახლოება არსებულ შენობების რიგელებთან ხდება კონსოლურად.

არსებული ნაგებობების (11-სართულიანი და 5-სართულიანი კორპუსი) საძირკვლები შენობების განაპირა ღერძებიდან გამოწეულია 1,00 მეტრის მანძილზე, შესაბამისად საპროექტო ხიდის კონსოლური ნაშვერებიც მცირეა.

თვითონ გადასასვლელი ლითონის ჩონჩხედის კონსტრქუციებშია გადაწყვეტილი და მონოლითური რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკლები დაფუძნებულია თიხნაროვან გრუნტებზე.

გადასასვლელის ლითონის ჩონჩხედი (კარკასი) გრძივი მიმართულებით ოთხმალიანია, განივი მიმართულებით ერთმალიანი. გრძივი მიმართულებით მალები შეადგენს: 5,00მ; 10,90მ; 8,80მ და 11,30მ. განივი მიმართულებით მალი შეადგენს: 2,20მ;

ღია სართულის სვეტების პირობებში ლითონის ჩონჩხედის სვეტები შეკრულია გრძივი და განივი მიმართულებით ლითონის ჯვარედინი ფორმის შემკრავებით ე. წ. დიაფრაგმებით. (სწორი საპროექტო გადაწყვეტით სვეტების მოქნილობის შესამცირებლად).

შემკრავები განთავსებულია სიმეტრიულად ჩონჩხედის მიმართ (სწორი საპროექტო გადაწყვეტით). გადასასვლელის იატაკზე მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და დაფარულია ხის იატაკით, ხოლო ჭერი შემოსილია ლითონის ჩონჩხედის ელემენტებითა და მოსაპირკეთებელი პანელებით, გადასასვლელის გარე ფასადის შესაბამისად. ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ორ კორპუსს შორის მოწყობილი გადასასვლელის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სწორი საპროექტო გადაწყვეტებით და მთლიანობაში მისი კონსტრუქციული მდგრადობა

ექსპერტს პირველ ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის მიმართ გააჩნდა შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

1) სამონტაჟო ნახაზებზე (გეგმებზე და ჭრილებზე) დასატანია მიჯნებზე არსებული შენობების კონტურის ხაზები და მანძილები გადასასვლელის მზიდი კონსტრუქციებიდან არსებულ შენობებამდე. საძირკვლის ნახაზზე კი დასატანია არსებული შენობების საძირკვლები.
2) დიდი სიგრძისა და მცირე სიგანის პირობებში მიზანშეწონილია გადასასვლელის იატაკის სართუშუა გადახურვა მოეწყოს მონოლითური რკ/ბეტონის ფილისაგან. ლითონის ჩონჩხედის შეკვრის ფუნქციით, ჰორიზონტალური სიხისტის ასამაღლებლად. მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სიმაღლე უნდა იყოს მინიმუმ 15 სმ.
3) უფრო დეტალურად უნდა დამუშავდეს გადასასვლელის განაპირა კონსოლური კოჭების დაყრდნობის სახსრული კვანძები არსებულ შენობებთან.

განმეორებით წარმოდგენილ კონსტრუქციულ ნახაზებში გათვალისწინებულია ექსპერტის ყველა შენიშვნა და წინადადება.

<u>საპროექტო გადასასვლელის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება</u>

- საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით ლითონის სვეტების ქვეშ, გაბარიტული ზომებით: 100X320X40(h)სმ, საძირკვლის ყელის სიმაღლე: 40სმ. საძირკვლების ქვეშ ეწყობა 10სმ სისქის ბეტონის (B7,5) მოსამზადებელი ფენა;
- სვეტები დაპროექტებულია ლითონის შეწყვილებული შველერებისაგან 2[№30;
- ძირითადი რიგელები (კოჭები) დაპროექტებულია ლითონის ორტესებრი პროფილის IN№27 კოჭებისაგან;
- გადასასვლელის იატაკის სართუშუა გადახურვა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 15სმ;
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჯვარედინი ფორმის შემკრავები ე.წ. დიაფრაგმები (კავშირები) დაპროექტებულია მართკუთხა განივი კვეთის ფოლადის მილებისაგან: □120X120X3მმ;
- გადასასვლელის კედლების და გადახურვის კარკასის ელემენტები დაპროექტებულია მართკუთხა განივი კვეთის ფოლადის მილებისაგან: □120X120X3მმ;
- გადასასვლელის კარკასის შემავსებელი კედლები დაპროექტებულია „აკვაპანელი“-ს ფილებით, სისქით 20მმ, რომელიც დამუშავდება დეკორატიული ლესვით (ე.წ. „მიუნხენი“) და შეიღებება
- გადასასვლელის სახურავის ბურული თუნუქისაა.

საპროექტო გადასასვლელის შენობა კონსტრუქციული სქემის მიხედვით ლითონის კარკასული ტიპისაა. ბეტონის საპროექტო კლასი საძირკვლებში შეადგენს: B25; არმატურების საპროექტო კლასი საძირკვლებში: A-500C და A-240 .

გადასასვლელის პროექტს თან ერთვის ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგები, ელექტრონული ვერსიის სახით. ანგარიშები შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „lira-sapr“-ის საშუალებით.

(ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g); ქარის 85კგძ/მ² ნორმატიული დაწნევისა და თოვლის საფარის 50 კგძ/მ² ნორმატიული დატვირთვებისათვის.

გადასასვლელი ხიდის ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები, პროფილები და არმირება დაპროექტებულია გადასასვლელი ხიდის მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით.

დასკვნა:

ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის №9, ნაკვ. 01/301, შ.პ.ს. „კატასტროფის მედიცინის ცენტრი“-ს (ID: 404854332) თანხმობის მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.17.13.001.392, მდებარე საავადმყოფოს შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირების): ორ არსებულ შენობას შორის გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტის გრაფიკული ნაწილისა და ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს ორ არსებულ შენობას შორის გადასასვლელი ხიდის მოწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე ვახტანგ ჯივის ძეს მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1985 წელს დაამთავრა ... სრული კურსი ... სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. ... მიენიჭა ... კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1985 წ. 29 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан *Джапаридзе Вахтангу Живиевичу*
в том, что он в 19*80* году поступил
в *Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина*
и в 19*85* году окончил полный курс *названного института*
по специальности *промышленное и гражданское строительство*.

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 19*85* г.
присвоена квалификация *инженера-строителя*.

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П.

Город *Тбилиси* *29* *05* 19*85* г.

Регистрационный № 1276

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მ / M
პირადი No / PERSONAL No: 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 10.06.1963
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 26.06.2026

ბარათის No / CARD No: 15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO15IC192675010050217 96<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<<<

ინფორმაცია საპროექტო და სამშპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქუთუვან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ჭავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ე. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსიობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი N 01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაკეთებით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე N 01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯ.ი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შემთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	35 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	20 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2020წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	18.08.2021წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი



ვახტანგ ჯაფარიძე

შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 07-2/20

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“ (ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„21“ იანვარი 2020წ.

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა, №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის, №9, ნაკვ. 01/301, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი №01.17.13.001.392 მდებარე პოლიკლინიკის არსებული ნაგებობის (შენობა № 01/4) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე, ერთი სართულის დაშენების პერსპექტივით.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა, №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის, №9, ნაკვ. 01/301, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი №01.17.13.001.392 მდებარე პოლიკლინიკის არსებული ნაგებობის (შენობა № 01/4) რეკონსტრუქციის პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები წარმოდგენილი აკინძული ბროშურის სახით;
4. ლოკალური კონსტრუქციული ანგარიშები, არსებული ჩონჩხედის ცაკლეული მზიდი ელემენტების მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „lira-sapr“-ის საშუალებით.

ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა, №9-ში, მდებარე პოლიკლინიკის განსახილველი ნაგებობა აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში და დღევანდელი მდგომარეობით ოთხსართულიანია, სარდაფის სართულით. მისი გაბარიტული ზომები შეადგენს: 18,0X48,0 მეტრს.

სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს: 3,0 მეტრს; მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს: 3,30 მეტრს;

არსებული შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით, ძირითადად ანაკრები რკ/ბეტონის ჩონჩხედის კონსტრუქციებშია (ИИС-04 - 2 სერია) გადაწყვეტილი. მისი ფორმა გეგმაში მართკუთხედია, რომელსაც მთავარი ფასადის მხრიდან, გეგმაში მართი კუთხით მოწყობილი ერთმალიანი მინაშენები აქვს სიმეტრიულად მიდგმული, კიბის უჯრედების ფუნქციით.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის თანახმად, ნაკვეთის ლითოლოგიური ჭრილი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

მიწის ზედაპირიდან 0,6-0,8 მეტრის სიღრმეზე ნაყარი ფენაა განლაგებული, რომელსაც ენაცვლება თიხნარების ფენა 3,0-3,6მ სიმძლავრით. მის ქვეშ განფენილია კენჭნაროვანი ფენა ქვიშნარის შემავსებლით, რომლის ზედაპირზეც გრუნტის წყლების გამოჩენის საზღვარია დაფიქსირებული.

კენჭნაროვანი ფენის პირობითი საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: R_0=4,0-4,5კგძ/სმ^2;

არსებული ნაგებობის მზიდი ჩონჩხედი შემდეგ კონსტრუქციებშია გადაწყვეტილი:

1) საძირკვლები – მონოლითური რკ/ბეტონის წერტილოვანი ფილებით და ანაკრები რკ/ბეტონის ჭიქებითაა მოწყობილი.
2) სვეტები – ანაკრები რკ/ბეტონის, ИИС-04 - 2 სერიის მიხედვით, კვადრატული განივი კვეთით: 0,4X0,4მ; ორი სართულის სიმაღლის.
3) რიგელები – ანაკრები რკ/ბეტონის, „T“-სებრი განივი კვეთის, სიმაღლით 0,5მ, ИИС-04 -3 სერიის მიხედვით, ნაწილობრივ მონოლითური რკ/ბეტონის ცალკეულ უბნებზე.
4) გადახურვები – ძირითადად ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებისაა, სიმაღლით 22სმ; ღერძების გასწვრივ შემკრავი ფენილები ანაკრები რკ/ბეტონისაა, ყრუ განივი კვეთით, სიმაღლით 25სმ;
5) კედლები – ძირითადად დაკიდული საკედლე ანაკრები პანელებისა, ნაწილობრივ აგურის წყობითაა ამოშენებული.
6) კიბის უჯრედის კონსტრუქციები – ანაკრები რკ/ბეტონისაა, ტეხილი ფორმის, ИИС-04 -5 სერიის მიხედვით.
7) სახურავი ბრტყელი ტიპისაა.

არქიტექტურული გადაწყვეტის მიხედვით, რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ერთი სართულის დაშენებას შენობის მთლიან მოშენების ფართზე, რომელიც პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში შემდეგნაირად არის გადაწყვეტილი:

არსებული ანაკრები რკ/ბეტონის ჩონჩხედზე დამატებითი სართული მოწყობილია ლითონის მზიდი ელემენტებით (სვეტები, რიგელები) და მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვის კონსტრუქციით. კედლები დაპროექტებულია საკედლე მსუბუქი მასალით მოსაწყობი საკადლე ბლოკებით, სისქით 20სმ, შესაბამისი დათბუნებით. (ექსპერტის აზრით, სწორი საპროექტო გადაწყვეტაა დამატებითი დატვირთვების მაქსიმალურად შემცირების მიზნით).

წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, დატვირთვები სართულის დაშენების შემთხვევაში იზრდება 16-18%-ით. წერტილოვანი ტიპის არსებული საძირკვლების მზიდუნარიანობა აკმაყოფილებს გაზრდილი დატვირთვების ზემოქმედების პირობებში ნორმატიულ მოთხოვნებს, რადგან 30-წლიანი ექსპლუატაციის პერიოდში, ფუძე-გრუნტების პირობითი საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე გაიზარდა ფუძე-გრუნტების მოტკეპნის გამო, 20-25%-ით და აქედან გამომდინარე, იგი გაუტოლდა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: R_0=5,0კგძ/სმ^2; ამრიგად, რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკვლების მზიდუნარიანობა შენარჩუნებულია საპროექტო დონეზე.

რაც შეეხება სვეტების მზიდუნარიანობას, პროექტი ითვალისწინებს არსებული ყველა სვეტის გაძლიერებას ლითონის გარსაცმებით, სარდაფის დონეზე. სვეტები გაძლიერებულია აგრეთვე დამატებით მოწყობილი დიაფრაგმებით ორივე მხარეს, შენობის მთელ სიმაღლეზე. ამავე დროს, ჰორიზონტალური ძალების შემცირების მიზნით, სვეტებში, კიბის უჯრედის გარე პერიმეტრზე, ყველა სვეტი ძლიერდება ლითონის გარსაცმებით და დიაფრაგმებით. იგივე ფუნქციას ასრულებს მიდგმული ლიფტის შახტების საპროექტო კონსტრუქციული გადაწყვეტა.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული:

არსებული კედლების ცალკეული მონაკვეთების გაძლიერების საპროექტო გადაწყვეტა, რომლებიც ამოშენებულია საკედლე მასალით. საჭიროა ამ მონაკვეთებზე წნული ბადის გაკვრა და შელესვა ცემენტის ხსნარით.

ასევე აუცილებელია, ობიექტის დათვალიერების პროცესში დაფიქსირებული, დაზიანებული, ანაკრები რკ/ბეტონის სვეტის გაძლიერება III სართულზე, ლითონის გარსაცმით. („7"-„ბ" ღერძების გადაკვეთის ადგილი).

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამაკმაყოფილებელ დონეზეა დამუშავებული და შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში იმსახურებს დადებით შეფასებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი-კონსტრუქტორი: / ვ. ჯაფარიძე /
11. 01. 2020წ.

<u>დასკვნა:</u>

დამატებით წარმოდგენილ პროექტის კონსტრუქციულ ნახაზებში გათვალისწინებულია ექსპერტის შენიშვნები და ამის საფუძველზე, ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა, №9, (ნაკვ. 01/077) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის, №9, ნაკვ. 01/301, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი №01.17.13.001.392 მდებარე პოლიკლინიკის არსებული ნაგებობის (შენობა № 01/4) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი-კონსტრუქტორი: / ვ. ჯაფარიძე /
21. 01. 2020წ.

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ სააკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI"
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	32 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	18 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი"-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2017წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	21. 01. 2020 წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი [stamp: საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296] [signature] ვახტანგ ჯაფარიძე